




ფასი 10 ჰ.

საბჭოთა რევოლუციის მარშალი



ძეგლი არა ხელთ უქმნელი

№
29

1920 წ.
ივნისის 13



კომუნისტურ აღირბეიჯანის ქალაქმა განჯამ მშვენიერი ძეგლი აუგო თავის ჩრდილოელ განმანათლებელ რუსეთის კომუნისტებს.

საიდუმლო *).

ბატონებო! დიდი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტე, ღღეს, აქ, გრიშაშვილის საღამოზე, მე თქვენ გაგიმხილოთ ერთი საიდუმლო, რომელიც ჯერ არავისთვის გამიმხელია.

ეს მე საბოლოოთ გადაწყვიტე, მაგრამ ვიდრე გეტყოდეთ ჩემ საიდუმლოს, ერთი აუცილებელი პირობა უნდა დამიდოთ აქვე:

თქვენ უნდა აღმითქვათ, რომ ეს ჩემი საიდუმლო ამ თეატრის კედლებიდან არა შემთხვევაში არ იქნება გატანილი.

ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ თეატრი იგივე ტაძარია და აქ აღთქმული სიტყვა ისევე წმინდა და გაუტყებელია, როგორც, სიონის, ან კიდევ, ანჩისხატის ტაძარში.

განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იქ, სიონის ტაძარში, აღთქმას სდებენ კათალიკოსისა და ეპისკოპოსის წინაშე, აქ კი, ამ ტაძარში, წუწუნავას და ფოცხვრაშვილის წინაშე.

იმედია, დამერწმუნებით, რომ ეს განსხვავება არც ისე დიდია, როგორც პირველად ეგონება კაცს.

აქ რომ მარტო ქალები ისხდნენ, მე, რა თქმა უნდა, ერთ წუთსაც არ დაფიქრდებოდი და თამამად ვიტყვოდი ჩემს საიდუმლოს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ თქვენ შორის მრავალი მამაკაცია და სწორეთ ამათი ენა-ტანიობა და მეჭორეობა მაფიქრებს ამ ეამად.

თქვენ ტყუილად ინებეთ გაცილება, ბატონებო!

ის აზრი, თითქო ქალები უფრო სუსტნი იყვენ საიდუმლოს შენახვაში, ვიდრე კაცები, სრულიად უსაფუძვლო აზრია და მე ვეცდები, ეს დებულება ერთი უბრალო მაგალითით თვალსაჩინოთ დაგიმტკიცოთ:

აბა, მიბრძანეთ, რომელი მამაკაცი შეინახავს ისე მტკიცეთ საიდუმლოს, რა გინდ დიდმნიშვნელოვანი იყოს ეს საიდუმლო, როგორც ქალი თვისი წლოვანობის საიდუმლოს ინახავს?!

ნება მიბოძეთ, ამის დასამტკიცებლათ, ერთი შემთხვევა გიამბოთ ჩემ საკუთარ ცხოვრებიდან.

ეს დიდი ხნის ამბავი გახლავთ.

მე გატაცებით შემიყვარდა ერთი ლამაზი და ღვთისნიერი ქალი...

მაგრამ ვიდრე ამ ამბავს დავიწყებდე, საჭიროდ მიმაჩნია მოგახსენოთ შემდეგი:

იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა, თქვენ შორის ამ წუთში ჩემი მეუღლეც ზის და ამ ჩემს მოთხოვრებას ყურს უგდებს, ყოვლისავე ექვის გასაფანტავად და მოსალოდნელი საოჯახო უსიამოვნო...

თქმული იენისის 10-ს სახელმწიფო თეატრში, „გრიშაშვილის საღამოზე“:

ნების თავიდან ასაცდენათ, ამ წმინდა ტაძარში საჯაროთ ვაცხადებ ღვთისა და ხალხის წინაშე რომ ეს ამბავი მოხდა ბევრათ უფრო ადრე ჩვენს დაქორწინებამდე და არა თუ დაქორწინებამდე, ჩვენს გაცნობამდისაც.

შევუყვარდი იმ ქალსაც.

ისე ბედნიერები ვიყავით ორნივე, რომ, ალბად ახალშეუღლებულ წყვილ მერცხალსა ვგავდით, ან კიდევ ორ განუყრელ მტრედს, ურთიერთის სიყვარულით რომ იბნიდებოან გაზაფხულზე და გარდა მიჯნურობის ღვთაებრივ გრძნობისა არაფრისთვის ჰფიქრობდნენ.

სამ წელიწადს გასტანა ჩვენმა ბედნიერებამ. ეს იყო იყო ნიმდვილი სულთა ჰარმონია, სულთა თვისტომობა. არაფერი არღვევდა ამ ჩვენს საოცარ შეთანხმებულსა და მწყობრცხოვრებას. მაგრამ, რუსების თქმისა არ იყოს, — ერთი კოვზი კუბრი ერთ კასრ თაფლს გააფუჭებსო, ჩვენც ასე მოვივიდა: მე შევამჩნიე ერთი საკვირველი გარემოება: რამდენი წელიწადიც ჩემს წლოვანებას ემატებოდა, იმდენი წელიწადი ჩემი სატრფოს ჰასაკს აკლდებოდა.

პირველად რომ შეგხვდით ერთმანერთს, 23 წლისანი ვიყავით — მეც და ისიც, ხოლო სამი წლის შემდეგ, მე რომ 26 შემისრულდა, ჩემი სატრფო 20 წლისა გახდა. ახლა თქვენ თითონ გასაჯეთ, ბატონებო, რა მდგომარეობაში ჩავვარდებოდი მე რაღაც ათი წლის შემდეგ: უკეთუ ბუნებურ კანონი შემდეგაც ამ გვარის უკუღმართობით იმოქმედებდა მასზე, მე რომ 36 წლის გავხდებოდი, ჩემი სატრფო 10 წლის ბავში შეიქმნებოდა.

ამ საშინელომ აზრმა კინალამ ჰკუჷ შემირყია, მაგრამ მე კიდევ სხვაგვარათ დავსვი საკითხი: რამდენი წლის ყოფილა ჩემი სატრფო ამ 10 წლის წინათ, როდესაც მე 16 წლის ქაბუკი ვიყავი მეთქი? გამოვიდა, რომ ის მაშინ 30 წლის ქალი იქნებოდა. ამ არითმეტიკამ ჩამაფიქრა და დამარწმუნა, რომ აქ რაღაც თაღლითობა იყო და ჩემი ნესტანი ჩემთვის მიუწოდომელ მიწების გამო წლოვანობას მიმაღავდა.

სწორეთ აქ დაიწყო ჩემი საზარელი სულიერი ტანჯვა. ვერცხვეწნა-ვედრებამ, ვერც მუქარამ, ვერც გრძნობამ და ვერც გონებამ ვერ იმოქმედა მასზე: გაკერბდა და გასაღკლდევდა... არ იქნა და არა: ვერ გავამხელინე ნამდვილი წლოვანობა!

სწორეთ *idée fixe* — ათ გაღამექცა ჩემი სატრფოს წლოვანობის გაგება.

ჩემს სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ჰქონდა. როგორც ექვით გადარეული ოტელო იძახის, სისხლი მწყურია, სისხლი, სისხლი, ისე ვყვიროდი მეც გაუნღვებლათ:

— წლოვანება მითხარი, წლოვანება, წლოვანება-მეთქი! — მაგრამ ამაო იყო ყოველივე...

მეოთხე წელიწადს ჩემი სატრფო უეცრივ მიძიმე

აეათ გახდა. წამლობამ ვერა უშველა რა და მობ-
რუნების იმედი აღარ იყო. კვდებოდა ისე, რომ
წლოვანების საიდუმლო თან მიჰქონდა.

საბრალო ძლიერ მოარწმუნე ადამიანი იყო და
სიკვდილის წინ მღვდელი დაიბარა საზიარებლათ.

საშინელმა ცოდვილმა აზრმა გამიელვა თავში
და ჩავიდინე ისეთი სიფლიდე, რომლის მოგონება
დღემდე მოსვენებს არ მაძლევს: მოვისყიდე მღვ-
დელი (იმ დროს მღვდლის მოსყიდვა ძნელი არ
იყო) და დავავალე აღსარების დროს წლოვანობაც
ეკითხა.

მე ფარდის უკან ვიყავი იქვე დამალული,
მღვდელი რომ მივიდა მომაკვდავთან.

ჩვეულებრივი გამხნეებისა და ნუგეშინის ცე-
მის შემდეგ აღსარების ჩამორთმევას შეუდგა.

— შეილო ჩემო, უთხრა მან: ახლა მითხარი, რა
ცოდვა გაწუხებს. უცოდველი არავინ არის ამ ქვე-
ყნად და ყოვლად მოწყალე უფალი ჩვენი იესო
ქრისტე მიგიტევებს ყოველთა ცოდვათა შენთა.
მითხარი!

საბრალო ისეთი მიღვეულის ხმით ლაპარაკობ-
და, რომ მე ძლივს გავიგონე მისი სიტყვები. ნე-
ტავი არ გიმეგონა!

— ჩემი ყველაზე უფრო დიდი ცოდვა ის არის,
მამაო, რომ ჩემს სატრფოს 7 ჯერ ვულალატე—
ძლივს წარმოსთქვა მან.

— შეიდეჯერ!—გავიშეორე მე გუნებაში და
კინალამ წავიქეცი მაგრამ წლოვანების გამქლავნე-
ბის მოლოდინმა ძალა შემმატა და თავი შევიკავე.

— შეილო, რამდენის წლისა ხარ?—ჰკითხა
მღვდელმა.

— განა ესეც საჭიროა?— წარმოსთქვა მო-
მაკვდავმა.

— ჰო, შეილო!—მოკლედ ჰოუქრა მღვდელმა.

— 19 შემისრულდა, მამაო, და მეოცეში გა-
დავდექი!—მიუგო მან და სული განუტევა.

მოკვდა ისე, რომ თან წაიღო საიქიოს თვისი
საიდუმლო და ამისდა გვართ უფალმა ღმერთმა
ღესაც არ იცის ჩემი ცოდვილი სატფოს წლო-
ნება!..

მართალია, ამ გრძელ ამბით თავი შეგაწყინეთ,
ბატონებო, მაგრამ იმედია, ახლა მაინც დარწმუნ-
დით როგორის სიმტკიცით სცოდნია ქალს საი-
დუმლოს შენახვა.

ამიტომაც მეშინია მე ჩემის საიდუმლოს მამა
კაცების თანდასწრებით გამხელა.

მაგრამ რაკი გადაწყვეტილი მაქვს და შეგპირ-
დით, კიდევ, სიტყვა უნდა შევასრულო.

მაშ, ვთხოვ, აქ დამსწრე მამა კაცებს, თეატრი-
დან გაბრძანდენ და მარტო მე და ქალები დავგ-
ტოვონ.

იმედია, უსაფუძვლო ეკვიანობას ქა ადგილი არ
ექნება, რადგან ხომ ყველა დარწმუნდა, რომ ქა-

ლებთან მე ვრჩები არა რაიმე ანგარებიანი განზრ-
ხვით, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ მათ კაცე-
ბზე უფრო ვენდობი საიდუმლოს შენახვაში.

უკაცრავად, ბატონებო! კინალამ დამივიწყდა,
რომ მამაკაცებში გამონაკლისს შეადგენენ დამფუ-
ძნებელი კრების წევრები და მინისტრები, რომელ-
თაც არა ნაკლებ ქალებისა იციან საიდუმლოს
შენახვა.

ეს ხომ ყველამ იცის, რომ ჩვენი სახელმწიფო-
ებრივი საიდუმლოებანი გასაოცარის სიმტკიცით
არის დაცული ორი საათის განმავლობაში და მხო-
ლოდ შესამე საათში ვრცელდება საყოველთაოდ!

ჩვენი კანონმდებლებისა და მმართველების
ასეთი საოცარი მესაიდუმლოება, ჩემის აზრით, მხო-
ლოდ იმით აიხსნება, რომ ისინი დიდმნიშვნელოვან
სამალავ ამბებს არავის უმხელენ გარდა თავ-თავის
ცოლებისა—ვისაც ცოლი ჰყავს, საცოლეებისა—
ვისაც ცოლი არა ჰყავს, ხოლო ვისაც ცოლიცა
ჰყავს და საცოლეც—პირველსაც და მეორესაც.

ამისდაგვარათ, გარდა ქალებისა დარჩენა შეუძ-
ლიათ დამფუძნებელ კრების წევრებს და მინის-
ტრებს.

მაგრამ, მოდით, ნურც დანარჩენებს მოვიმდუ-
რებთ! ვენდობი მათ სინდისს და საყოველთაოდ
ვიტყვი ჩემს საიდუმლოს:

— ჩემი საიდუმლო ის გახლავთ, ბატონებო,
რომ დღეს, გრიშაშვილის საღამოსთვის, შესაფერი
თემა ვერ გამოვინახე და ამ უბრალო ლაზღანდარო-
ბით შევიქციე დამსწრე საზოგადოება.

თავუნა.

პასუხი „ნიც-ნიცს“

(ხათაბალა № 4.)

„მოგეწერა, წავიკითხე
შენი წიგნი, ჩემი ქება“
და პასუხი წარმოგვზავნო
მეც მიბოძეთ ამის ნება!
ვითა სჩანს, ჩუმად საკბენად
კბილები მოგიღესია,
მაგრამ საბუთზე არ ზრუნავ,
ვითა „სატირის“ წესია...
„პეტრე... ვანო... და გიორგი...
ედები ლოზე ყორესა...
გსურს ვერაგულად მიმაკრა
ჩემთვის უცნობს და შორესა.
„ნუნუა“, „ვერძი“, „გოჭები“,
„მოთალი“, „სოლოლაკია“...
აღბათ საბუთიც ეს არის
რითმები სწორათ რაკია!
ქურნალ-გაზეთის ვრცელება
თუ საქმე დასავლობია...“



ნაძლევი ჩემგან მიიღე
 „ძიგურა“ ერთი გობია.
 რაც შეეხება „ჯიბის და
 კისერის გაჯიჯგვებას“
 პასუხს პირადათ მოგართმევ,
 დრო როცა მომცემს ნებასა.
 სხვაგვარ პასუხის მოცემა
 დღეს შენთვის აღარ მცალია:
 საზღვარზე თოფით დამდგარსა
 მტერზე მიჭირავს თვალია.
 თორემ თქვენთვის მაქვს სხვაგვარი
 პასუხი მოსახსენები...
 მიზანი სხვა გაქვს, როგორაც
 ამბობს „ბოროტი ენები.“
 „ხათაბალას“ და „მათრახს“ შვა
 რომ ატეხილა ომია,
 (რომელ ბრძოლაში ჩარევა
 ზრახვითაც არა მდომია!)
 შენ კი გეტყობა აშკარა
 სიხარბე სტრატეგიაში...
 და მე, ვითარცა მათრახელს,
 წამკიდებიხარ „ყიში“.
 მარა გაკლია „სარდალო“
 ბრძოლის ძალა და წესები:
 სამკალს ვერ მოგცემს მარცვალი
 უღროვოთ დანათესები.
 გინდა აპოლონს მადარე,
 გინდ გუჯუ ლაბახუასა,
 შენს „მუზას“ ამით ვერ შესძენ
 სინდისს, აზრსა და ჭკუასაც.

ბუტუნა

მდინარე ხრამის ნაპირი. მაისის 18*).

შექანჯალბეულის ლექსები.

გაღმა ხარბი ვავდენე...
 და ისევე გამოვდენი...
 რა კარგია რომ იცოდეთ,
 ჩვენი კობტა შევარდენი.—
 ჰოჰო, ჰო, ჰო, რაოდენი!!!!
 ჩვენ მოგვეცეს იმოდენი
 სიხარულის, შვების დღენი,...
 მიყვარს ქალნი შევარდენები,
 რომ გოგავენ ვით ქედნები,
 მათი ეშხით ვიწვი, ვდნები,
 შვენით „ჩაქურა“ შარვლები,
 თავს წითელი მანდილები,
 გვერდს უმშვენებთ ყმაწვილები—
 ტან-მოქნილნი, წვივ-მწვრილები...

*) სამწუხაროთ, რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა.

კარგი არის ტანთვარჯიში,
 იქნებ შექმნან კარგი ჯიში...
 მაგრამ ერთის კი მაქვს შიში—
 — ეს დასჩემდათ ბევრ შევარდენს,
 სკოლის კარებს ვეღარ აგნებს,
 იძულებენ ნელ-ნელ წიგნებს,
 ეს იცოდეს ბეკრ მათგანმა—
 სული თუ შეჭამა ტანმა,
 ნიჭი თუ დაჩრდილა ჯანმა,
 ვერას გარგებს შევარდენი
 (წავალ, ჯორებს გამოვდენი.)
 სულის, გულის, ჭკუის, ჯანის
 შედუღება, ჰარმონია,
 კარგი არის, მე მგონია,...
 გწამდეთ შეილნო ქართლისანო:
 „In corpore sano mens sana,“
 მაგრამ არა იმისთანა—
 — სკოლას უთხრათ სულთათანა!!
 ყური მიგდე, ძმავ ეგვენი!
 ჩემს კნენას შინ მივდენი—
 მსურს შევიროთ შევარდენი...
 და თუ მართლა ეს არ ვქენი,
 არაფერი მინდა შენი...
 შევარდენი კარგი არი—
 ცხოველ მზით-მკერდ-გადამწვარი,
 ვით კულიჩი გამომცხვარი.
 სანეტარო, სანუკვარი...
 ნაძვის ძირში ვნახე კვარი...
 მოვა და წამართმევს ცხვარი...
 პა, პა, პა, პა, პა, პა, სა!
 სიდან გამოშა,
 ეს რაღაცა სპა,
 ვერსალი და სან-რემო
 სან-რემო და სპა,
 ნელ-ნელ გამოშა...
 პა, პა, პა, პა, პა!
 ეს, რაღაცა სპა,
 ტყავი თუ გაშა,
 და ისევე გაშა??!
 რას გვიპირებს ნეტავ,
 (ამის თქმას ვერ ვბედავ)...
 სომხებმა უბებიეს—
 —სან-რემოს აშობიეს—
 ეს ვიღაცა სპა...
 ბათომი აწოვეს,
 (სხვა ძიძა ვერ ჰპოვეს)
 „ძუძუც“ გაუტკპა.
 პა, პა, პა, პა, პა,
 რას გვიპირებს სპა?
 საითკენ აქვს ყბა?
 ბათომი ხომ არ სურს,
 ნორჩსა და ჟსუსურს,
 რომ ვინმეს უძღვნას...

არა, ეს ვერ ქნას!...
 მის წინაპრებს,
 ქვეყნის ლამპრებს
 ეს ვერ გაუბედავს—
 სპა ამას ხომ ხედავს?!
 პა, პა, პა, პა, პა,—
 ეპ, თუ შერცხვა სპა—
 და თუ ჩაყლაპა
 სომხეთის იმედი...
 მბობს არხიმედი:
 „მომეცით წერტილი
 ქვეყანას დაეძრაო...
 და ამბობს სომხეთი—
 (ზრახვით ჯოჯოხეთი)
 მომეც ბათუმით,
 ზღვას ვკრა ხორთუმით...
 იო, იო, იო, და იო...
 დიპდი-პიტომ... დაპ-ტრრუმ, დაპ-ტრრუმ
 დაფი, ზურნა, თარი, თარი...
 აბა, ტაში, ჩქარი, ჩქარი—
 დავტრიალდეთ, როგორც ქარი...
 მოდი, რაღა, ნულარ იცდი!...
 დაუაროთ, გოგოვ, პისტი...
 მსურს გაგაცნოთ „შატალისტი“
 ახალ მოდის „შატალისტი“
 შატალიზმი იდეალობს
 დღე მის ჰანგზე ბევრი გალობს,
 ვისაც შრომის შნო არ სწყალობს,
 დღეს ურიცხვად „დაშატალობს“—
 —ტფილისელი შეგირდები...
 სწავლას,—გაწვრთნას, წიგნს და სკოლას,
 ანაცვლებენ მინდვრად წოლას.
 გადასძახებს ნიკო კოლას,
 სანდროს, გეოს-და კიკოლას.
 ნუ ვეწვევით დღესო სკოლას...
 წიგნებს ხელს წამოავლებენ,
 სწრაფლ სკოლის გზას დაადებენ,
 ეწვევიან განაპირებს,
 ან და მყუდრო სასაფლაოს,
 რომ დღე უქმად ჩააფლაონ...
 ჩხირს მიწას უმარწუხებენ,
 საფლავში მკვდრებს აწუხებენ,
 ხან „არიოლ-რეშქას“ ისვრიან,
 ხან ერთ-ერთს მიწაზე სვრიან—
 ხან კოლას-და კიკოლიკას
 გაუჩადებენ „ჩილიკას“,
 წიგნებს ბალახში აწვენენ...
 როცა ცოტას მოიწყენენ
 (რომ აუწვავთ კუქს შიმშილით)
 „შატალობისგან“ მოდლილი,
 ყველა შინ გამოუდგება...
 „შატალობა“ ბევრს ედება...
 შაგირდთ უნდათ ყურის გდება...

თორემ რომ „გაშატალებდა“
 წაღმა ველარ მობრუნდება...
 თავში ჭკუა მიბრუნდება...
 შექანჯალებული.

პატარა ფელეტონი.

ახალი მინისტრები

ანუ

თედო ლლონტი და მე

ა.

— ახალი ამბავი გაიგე?
 — რა ამბავი? საყურადღებო ხომ არაფერი მომხდარა?
 — შინაგან საქმეთა მინისტრი გადამდგარა.
 — სად: საფრანგეთში, თუ ინგლისში?
 — აქ, ჩვენში! მას უკვე მიუცია სათანადო განცხადება მთავრობის თავმჯდომარისათვის.
 — რას მელაპარაკები!
 — პატიოსნებას გეფიცები.
 — მიზეზი, კაცო, მიზეზი რა არის თუ იცი?
 — მიზეზი... თედომ მხრები შეაქანა, და მის ლალისფერ ტუჩებზე ნაზი ღიმილის მორცხვმა ტალღამ გადაიქროლა.
 აშკარა იყო, რომ მას რაღაც საიდუმლო კავშირი ჰქონდა ამ—ჩვენი ქვეყნისათვის უჩვეულო— მოვლენასთან.
 — ჩქარა მითხარი, თუ ღმერთი გწამს, შევევედრე მე მას.
 თედომ ხელმეორეთ შეაქანა მხრები, ოქროს ბუდიანი სათვალეები ჯენტლმენის სიღინჯით გაისწორა, ოღნავ წამოწითლდა და... დაბალი ხმით წარმოსთქვა:
 — ჯერ კარგათ არ ვიცი, მაგრამ, როგორც დანამდვილებით ამბობენ, ამ ღირსშესანიშნავ აქტისათვის ნიადაგი ჩემს „ფურცლებს“ მოუპზადებია...
 —ვაშა, ვაშა, ჩემო სასახელო ამხანაგო, სიხარულით წამოვიძახე მე და მადლიან შუბლზე მხურვალე ამბორით მივულოცე მას ეგ ბრწყინვალე გამარჯვება.

ბ.

პატარა ნოე ჟორდანიამ იმ საღამოსვე შესთავაზა ამხანაგ თედო ლლონტს შინაგან საქმეთა მინისტრის დაქვრივებული პოსტი. „მე დარწმუნებული ვარ, პატარა თედო, რომ ჩემს წინადადებას თანაგრძობით შეხვდებით და სამინისტროში თქვენი შემოსვლით ერთი ათათ წინწასწევთ ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობის საქმეს, რომელიც ამდენხანს შეფერხებული იყო სხვა და სხვა საპატრიო მიზეზების გამო“, —ამ ლექსით თავდებოდა

პატივცემული პრეზიერის წერილობითი წინადადება.

— როგორ მოვიქცე, ამხანაგო, შემეკითხა მე ამხანაგი თედო ამ წინადადების მიღების გამო.

— აქ ყოყმანიც კი არ შეიძლება, ვუპასუხე მე, უნდა მიიღო პორტფელი.

— შენ, ალბათ, იცი, თუ როგორაა აწეწილ-დაწეწილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმეები. მათ გამოსწორებას ძალიან დიდი შრომა და ენერჯის დახარჯვა დასჭირდება.

— ეს ასე იქნება, თორემ სხვა რომ არაფერი იყოს საჭირო, მაშინ თავისიანებშიაც კი იშოვნოდნენ შესაფერ კანდიდატს.

— ყოველ შემთხვევაში მე ისე ვერ მივიღებ ამ წინადადებას, თუ ძირითადი ცვლილებანი არ იქნებიან შეტანილი თვით სამინისტროს პოლიტიკაში.

— ეგ თავის თავათ ცხადია.

— უპირველესი პირობა—ეგ საქართველოს ფედერატიულ პრინციპებზე აგება და მისი სოციალისტურ რესპუბლიკათ გამოცხადებაა.

— ეგ აუცილებელი და ჩინებული პირობაა.

— მუშათა საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას რადიკალურათ: დღიური ხელ-ფასის ათას მანეთამდე გადიდების გარდა და თითოეულ მუშას სულზე ყოველ—დღიურათ უნდა ეძლეოდეს—ხუთი გირვანქა კანადის ფქვილის პური, ერთი ოყა ხორცი, ერთი გირვანქა შაქარი, ათი ცალი კვერცხი, მეოთხედი გირვანქა ჩაი, ნახევარი გირვანქა ყველი, კარაქი და ხიზილალა.

— უნდა ეძლეოდეს,—მაშ!

— გარდა ამისა, მუშებს უნდა მიეცეს ინგლისური ტანისამოსი, ამერიკული ფეხსაცმელები, იტალიური საცვლები და საცხოვრებელი ბინა ყოველივე მოწყობილობა-მორთულობით და თითო ავტომობილი.

— უსათუოთ უნდა მიეცეს.

— სოფლის მშრომელი ხალხის ცხოვრებაც ამ ნიადაგზე უნდა მოეწყოს.

— სხვანაირათ როგორ შეიძლება.

— მიწა ღვთისაა. ის გლეხებს უფასოთ უნდა დაუბრუნდეს.

— სრული ჭეშმარიტებაა.

— ინგლისელებმა ბათუმი უნდა დასცალონ!

— აუცილებლათ.

— ბურჟიაზიულ ევროპასთან სამუდამოთ უნდა გავსწყვიტოთ ყოველგვარი კავშირი!!

— რასაკვირველია...

— სატუსალოები ზედ-მეტი ბარჯია სოციალისტურ რესპუბლიკისათვის,—ისინი ძირბუდიანათ უნდა ავაფეთქოთ!!!

— ჩემი აზრით, ადამინისტრაციაც აღარ იქნება საჭირო.

— არც ადმინისტრაცია, არც.. არც... არც...

მეტის მეტი აღელვების გამო თედომ სიტყვა ვეღარ დაასრულა. ის იძულებული გახდა მაგიდასთან მისულიყო და ჭიქით წყალი მოესვა გულის გასაგრილებლათ.

— შენ რიგორ გგონია: მიიღებენ, თუ არა მენშევიკები ჩემს პირობებს? შემეკითხა თედო აწუკვე დამშვიდებული კილოთი.

— სხვა რა გზა აქვთ, თუ კი ისე არ შეხვალ სამინისტროში. უსათუოთ მიიღებენ.

— ძნელი საქმე კია შინაგან საქმეთა მინისტრობა, ა?

— ძნელი რომ არის, შენც მიტომ გიწვევენ, ჩემო კარგო... მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ პირნათლათ შეასრულებ ნაკისრ მოვალეობას... ეცადე მხოლოდ, რომ შენსავით ნიჭიერი და მომზადებული ამხანაგი იშოვნო, უნდა ითქვას, რომ მინისტრის ამხანაგი ძალიან დიდ როლს თამაშობს სამინისტროს მართვა გამგეობის საქმეში და ამიტომ დიდი სიფრთხილედ და შერჩევად საჭირო მისი მოწვევის დროს.

— შენ მართალი სთქვი. მინისტრის ამხანაგი ფაქტიურათ იგივე მინისტრია.

— მათ შორის არ არის არსებითი ხასიათის განსხვავება. მინისტრის ამხანაგი და მინისტრი ერთმანეთის ამხანაგები არიან.

თედო სერიოზულათ დაფიქრთა.

— შენს გარდა მე ვერავის ვიამხანაგებ მინისტრის საპასუხისმგებლო პოსტზე, მომმართა მან მე პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ,—და ვფიქრობ, უარს არ მეტყვი...

— რატომ... მშრომელი ხალხის სამსახურზე მე არასოდეს არ ვიტყვი უარს...

— აი ეგ მომწონს შენი, ეგ! კმაყოფილებით წამოიძახა თედომ და ხელი გამომიწოდა.

მე მსწრაფლ წამოვდექი და გამოწვდილი ხელი გრძნობით ჩამოვართვი...

— კაცო, კაცო!.. ჩამესმა ამ დროს ყურში ჩემი ცოლის ცივი ხმა და... გამომეღვიძა.

— რა მოგივიდა, გენაცვალე, ხელი რათ წამიჭირე კისერში?... ავათ ხომ არა ხარ?! შეშინებული მეკითხებოდა ის და თან კანკალებდა.

— არა, ისე რაღაც სიზმრები ვნახე და ალბათ... დამშვიდდი, ჩემო კარგო... სიზმარში, ხომ იცი, კაცი ბევრ რამეს ჩაიდენს, მაგრამ ეგ საშიში როდია... ვამშვიდებდი მე მას და თან ვფიქრობდი:

— ეშმაკმა რათ არ წავიღო შენ, შე ოხერო, შენა!?. ე რა უდროვო დროს გამომადგიძე? სიზმარში მაინ მიმეღწია მიზნისათვის!..

d.

თავისებური დახმარება.



— „Англія всегда старалась поддерживать грузинского воина въ батумской области.“

სასკოლო ქრონიკა.

ტფილისის ქალაქის სასკოლო განყოფილების მიერ დაარსებულმა კოოპერატივმა „მასწავლებლობის ცენტრი“ მომავალი სამოსწავლო წლისათვის დაამზადა მრავალი საქონელი (მასწავლებლები) სხვა და სხვა სისტემისა: ამერიკულისა, მონტესორისა და შერეული (აჯაპსანდალის) სისტემისა... საქონელი დაურიგდება ქალაქის მომხმარებლებს (სკოლებს) მიმდინარე წლის ენკენისთვიდან...

X.

ტფილისში დაბრუნდა ქალაქის ქართულ სკოლების ინსპექტორი და შეუდგა თავის თანამდებო-

ბის ასრულებას: თავ-თავის დროზე იღებს ჯამაგირს და პურის რაციონს. ქალაქის სასკოლო განყოფილება ძლიერ კმაყოფილია მისი ნაყოფიერი შრომით.

X.

ქალაქის სკოლებში სწავლების მეთოდების საექსპერიმენტო სეზონი ივნისში დათავდება. როგორც ამბობენ ნაყოფი დიდი უნდა იყოს; მომავალი სამოსწავლო წლის დასაწყისში ქალაქის სკოლებს რამოდენიმე ასეული სხვა და სხვა „გამოცდილი მეთოდი“ ექნება მზად.



ს ა გ ა ნ გ ე ბ ო



- ძველათაც ასე იყო: სამეფო სამეფოს საჩუქარს უზღავნიდა, მშვენიერი ჩვეულება იყო. დღეს მხოლოდ კომუნისტებში დარჩა ეს სამაგალითო ჩვეულება. ბაქოს კომუნისტებმა მოსკოვის კომუნისტებისაგან მშვენიერი და უცხო სანახაობის ყუთი მიიღეს.
- ამაში ალბათ შაქარი იქნება! სიხარულით წარმოსთქვა ალიმ.
 - ჩემის აზრით თეთრი პური უნდა იყოს უპასუხა ხუსეინამ.
 - ვინ იცის, იქნებ აბრეშუმი! წარმოსთქვა ალიმ.
 - შეიძლება, ოქრო ვერცხლიც იყოს. დასძინა ხუსეინამ.
 - ორი მესამედი ჩემი უნდა დარჩეს.
 - უკაცრავათ შენთან! ყუთი პირველად მე ვნახე, სამი მეოთხედი ჩემი უნდა იყოს.
 - შენ სტყუი ხუსეინ! ყუთი ჩემია. შენ არაფერიც არ გერგება..
 - მატყუარა და ოხერი შენა ხარ, ამხანაგო ალი, ყუთი მარტო ჩემს საკუთრებას შეადგენს.

თ ა მ ა დ ა!

(ღვინით დალოცვა.)

ღმერთო დიდებულო, წმინდაო გიორგი, ივანე ნათლისცემელო, სამებაო და ერთ არსებავ! შენ გუუმარჯვე ყველა აქანე მოყურადეს, ჩვენ საქართველოს, მოლხინე და მოპურადეს, მიეცი კაი ამინდი, მოხნას, მოთესოს, საყოფი ჭადი ყველას მოყავდეს, რავაც სამოთხის ბალი აყვავდეს, კაი მოყვარე და მტერიც ყავდეს, ჩვენი ქვეყანა რუსეთს არ გავდეს, ყოლოდღე ჩხუბი ზავით გათავდეს, ჩვენ ვიცინოდეთ მტერი კუთავდეს, და დამარცხე-

ბული ხვეწნით ფორთხავდეს, მომილოცავს ყველგა გასახარი ამბავი ბალშევიკებთან ზავი, ლენინის მარჯვნივ გახვევა, თათრების უკან დახვევა, მომილოცავს დღევანდელი „პრაზნიკი“ ვოზდა ექესი მაისი, უკეთესი გაისი, მოწყობილი ქვეყანა კაი ბახჩა და ყანა, ჩვენს ერთგულს გამარჯობა, ორგულებს გულში დანა...

რ. ჯიბილი.



ხ ა ჩ უ ქ ა რ ი .



ადამიანი საზოგადოთ ხარბია! თურმე რა საჭირო იყო ჩხუბი! ყუთის გახსნისთანავე აშკარა გახდა რომ საჩუქარი ორივესათვის საკმაო იყო ყუთში. მოსკოვის კომუნისტები ერთობ გულუჭეები არიან.

და გაზაფხულდა...

და გაზაფხულდა, ხე აყვავდა აღსდგა ბალახი!
 ჩვენც გვინდა ვიგრძნოთ უეჭველი სიამოვნება,
 მაგრამ ბნელდება და ღრმავდება ჩვენი ცხოვრება,
 როგორც ხაშურის ბნელ ქუჩებში შავი ტალახი.
 ცხოვრება, გვეკებავს როგორც ხბოებს ავი სალახი.
 თუმცა აღარ ვიხდით ფულს ყვაფილის წითელ აცრაში,
 მაგრამ შიმშილი კიდევ მეფობს ჩვენს ოცნებაში;
 იქ დარბის, როგორც ყაჩაღები გორის მაზრაში.
 მტკიცედ ქართველო! ნურვინ გჯობნის მოთმინებაში,
 როგორც ვერავის უმჯობნია შენტვის ნატვრაში!
 ქართველნო, მალე მივაყუდებთ ტიტანურ კიბეს
 და გარდავსდგებით ამაყ, ძლეულ კავკასიონზე!
 დავაფრთხოთ ლენინს და მის მოყმე ორჯონიკიძეს!
 (მაგრამ იმერთა საქართველო კი ჩაიჯიბეს,
 ჩანთქეს თბილისი, შესძრეს გორი, სხედან სიონზე!
 დიახ, განაგებს საქართველოს ის... ქუთაისი!..
 თურმე განაგებს უსამართლოდ, როგორც მეზრე ველს,
 ვისაც არ სჯერა კითხოს მწერალ ლევან მეტრეველს!)
 ღრო ჩქარობს! ცბიერ აპრილს მოსდევს მორცხვი მაისი...
 წმიდა ბუნებავ, შენ მოგვმადლე კარგი გაისი!!
ელვა ღრუბლიანი.

ხერხი სჯობია ღონესა თუ კაცი მოიგონებსა.



მამედ აღირბაიჯან—ოღლის წყნართ ეძინა და ტკბილს სიზმრებშიაც იყო. ანკი რა ჰქონდა საღარდებელი: პური და ყველი; ნავთი და შეშა; თევზი და ხიზილალა; თეთრი და საქონელი უხვად ჰქონდა მას. ამას დაუმატეთ ბრძენი და შორს მჭვრეტელი მთავრობა.




და აი, ტკბილ ძილში მამედ აღერბეიჯან-ოღლი მშვენიერ სიზმარს ხედავს: მის მშვენიერ სამშობლოში რუსეთის კომუნისტები მოდიან. მოაქვთ ზარბაზნები და დიდძალი ვაგონები ძვირფასი საქონლებით სავსე.
— აი მოგვხედა ალლაჰმა, — ჩაილაპარაკა ძილში მაპომედ აღირბეიჯან ოღლიმ — ამ თვალ მარგალიტებს ჩემთვის დავიტოვებ, ამ რუსის ჯარს კი ჩემს მეზობლებს მივუსევ გავაუღლებინებ. აი ამაზე იტყვიან ქართველები: ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო.



მაჰომედ აღირბაიჯან ოღლიმ თვალი მოჰკრა გზად მიმავალ სომეხს. დაუძახა კომუნისტ მეგობარს, მიუთითა სომეხზე და უთხრა:

— აი, მეგობარო, ის ერთი უსაშინელესი მტერთაგანია ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკისა, მიდი და მოჰკალი.



სომეხმა კომუნისტის ხასიათი უკეთ იცოდა. მიტიუხას ქრთამი მისცა, შეიამხანავა და შეერთებულის ძალით, კვეთა თავის მტერს.

მამედ აღირბაიჯან ოღლიმ კვდებოდა და თან მწუხარებით ამბობდა:

„მამა ჩემი ჰამშარა იყო და მე კომუნისტობას რა მრჯიდაო“.



უცნაური თარსი

(გიმნაზისტის გოდება)

(ნასესხები)

ამნაირი თარსებით
 (კახურის სმა თასებით)
 ორების სმა არსებით...
 არ მყავს სამიანები...
 შემაშინა მე თარსმა,
 პირველადვე დამთარსა,
 მინუსებით დამთასმა...
 მტანჯავს ორიანები.
 მინუს-მინუს და ორი,
 „ედინიცა“ სწორ-სწორი,
 დავძაბუნდი ვით ჯორი...
 და შემძულდა მე სწავლა...
 მარად კითხვა და შრომა,
 არც ქეიფი, არც ხტომა,
 სარდაფებში არც ძრომა...
 დამავიწყდა მე გავლა...
 წელიწადი თავდება,
 სიტყვა არ ითავდება,
 უფრო-უფრო ავდება...
 ჰოი, რა მეშველება...
 არ ვიცი მე საგანი,
 არც მაქვს მე გასაქანი,
 (მომეც უხამით სტაქანი)
 დამემართა ხველება.
 ასე არის მარად ის
 და იქნება მარადის...
 თავში ცოდნა არ აღის
 ცარიელი სივრცეა...
 ყველაფერი იქსია,
 ამოცანა სფინქსია
 და შემთხვევლი ღირსია
 თავში ჯოხი მივსცეა...
 მძულს მე მათემატიკა
 ალგებრა თუ ფიზიკა,
 მეჯაფრება ლოლიკა...
 მათ სიცოცხლე ჩაშხამეს...
 ამნაირი თარსებით,
 ნაღველსა ვსამ თასებით,
 მოგვდი მთელი არსებით,
 არა მძინავს მთელ ღამეს...

ისელი.

სიღნაღელებს

(ვაი ვუის ხმაზედ)

— გამარჯობა გეო!
 — გაგიმარჯოს საქო:
 რაღა დაგიძლო
 აულიათ ბაქო.! ვაი... ვაი...
 აქაც, სიღნაღშია
 კახეთის მაშინა...
 მომგვრელია ბრაზის,
 ქალი, კაცი, ყველა
 სუ ერთმანეთს აზის... ვაი... ვაი...
 ეს რა დრო დაგვიდგა
 ვაი ჩვენი ბრალი
 ერობაში გვიზის
 ას ოთხმოცი ქალი...
 სიღნაღში ცხოვრება
 არის მეტათ ფუჭი,
 ერთხელ რიგიანად
 ვერ გავიძლე კუჭი...
 ამ სიბნელის გამო
 სწორეთ გითხრა წავწყდი:
 „ბულვარის“ კუნჭულში
 „პაროქას“ წავაწყდი...
 სიღნაღში გამოდის
 გაზეთი სულ ორი,
 ერთი დაგვიკეტეს
 დარჩა მხოლოდ „ქორი“.
 ძმავ კოტეს სტომაქი
 არის ხაზაბალა...
 არ ეყოფა იმას
 მთელი ზაქათალა...
 ის ქვეყანა ძმაო
 არის ბედნიერი,
 სადაც, რომ იქნება
 „დასტურ“ ჯანდიერი...
 იმდენიც არა მაქვს,
 რომ ვიყიდო კევი...
 ქალი ამტეხია
 ვუყიდო მზიჟევი...
 თუ გინდ კარგათ ვიყოთ
 გქვონდეს ჩვენ დღეობა,
 მოდი სადმე გავხსნათ
 პატარა ერობა...
 თუ გინდა იცხოვრო
 დაიწყო ფრანტობა
 უნდა მოახერხო
 სპეკულიანტობა...

შალაურელი.



სამხატვრო თეატრი



კაჩალოვი-კარენო



ორლოვის ქალი—ფრანსუაზე (ანავთსადგური*)

ბიბლიოტეკას თუ ვეჩერედი უნდოდ აი არ ვიცოდ!

(გურული სცენა).

ამიტყტა ჩემი ქალი—თუ გინდა განათლება მიიღო, ფოთში წაი, ქალაქის ბიბლიოტეკაში შეი და გაზეთები წვიკითხეო. კაცმა რომ თქვას

შეც ქე ვარ კითხვის მოყვარული. ვიფიქრე: რაც დამეხარჯება დამეხარჯოს, ფოთს მაინც ქე ჩავაწევ და გაზეთს მაინც ქე წვიკითხავ, ეგებას ამ გოგრაში რამე შევიდეს მეთქინ.

აბა ჩვენს სამკითხველოს ნულარ მკითხავ დასწყევლოს ღმერთმა ვინც იგი ამ შუა ბაზარში წამუაყუყა! დილას შვიდ საათზე რომ დაადობენ დიდ ზაგრანიჩნი ბოქლომს, ეგებას რვა საათზე ეღირსოს გაღება და რავაც გვიღება მაშინე რაც ლანჩხუთში გემლაზისტები და გემლაზისტები ჯინჯველასავით ყველა შით შეცივა. ამეიღებენ ამ ფაბრიკაში გამზადებულ თუთუნებს და აფუტებენ და აფუტებენ. დააყენებენ ქიათურის პარაოზსავით ფუტებს და ამ გამოქვარტლულში გაჭიმულად არშიყოზენ. ბიბლიონტეკა და არშიყოზა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, მარა აწი იმისთანა დროია კაცის თვალი ვარესსაც ნახავს. ახლა გაზეთებს არ იკითხავთ? ვინც მენდომებს წაკითხვას გაზეთი უნდა დეიფრენიოს ეკლესიის გალავანში და იქინეი წვიკითხოს. ასე ტანჯვაში არიან საწყალი მკითხველები.

შე ვიფიქრე: ფოთში მაინც, ღმერთი რომ გუუწყრეს ჩემს მტერს, ამფერი სანახაობა რაფერ იქნება მეთქინ. რაც უნდა იყოს მაინც თელი ეროპის ინტლიგენტები იქინეი იყრის თავს და ბიბლიონტეკაც კაი იქნება მეთქინ. წასვლა ფოთში ქი მქონდა გადაწყვეტილი გულში, ასინეთიამ იმ მინუჩი მიშონა გზის ფული, მომკიდა ბარგი, გადამკიდა კისერზე ხურჯინი და გამისტუმრა. იმ ღამეს შვიდ საათზე რომ ჩავყედი პოვზში, მესამე დღეს რაცხა ღმერთმა ქნა ქი ამოვყევი თავი ფოთში, და დევიწყე აქეთ იქით ბანტური. მალე ჩემი ნანატრი ბიბლიონტეკაც მივაკვლიე, მივედი ახლო, შევხედე მარა რას შეხედავ! ბიბლიოტეკაა, მარა რა ბიბლიონტეკაა! რომ დეიწყო დილიდან ეგება სალამომდი დიდი ძებნის მერე მიავნო კარს. მერე არ იტყვი რაისიგძე ვეჩერეზი ეკრა? გაზეთის წაკითხვას თუ ვეჩერეზი უნდოდა აი აღარ ვიცოდი. ასე, ჩემი ჭიშკრიდან რომ დეიწყო მოსიელაის ჭიშკრამდი მაინც იქნებოდა! მერე პირდაპირი თუ? არა. აგერ მიკლანკრული ეგერ მოკლანკრული. ვუყურე, ვუყურე ბოლოს მივედი და ვკითხე ერთ ბარიშნას: ბარიშნა აქანაი რას იძლევიან ამისიგძე ვეჩერეზი რომ არის მეთქინ. პურიღონ მოსიეო! პუდრს იძლევიან მოსიეო. მე ვუთხარი მე მოსიეი კი არა, ვახუშტაი მქვია, მოსიეი ჩემს მეზობელს ქვია მეთქი ახლა კი ვიფიქრე, თუ გამიხარებია ახლა გამიხარებია ასინეთიეს გული. მუუტან პუდრს და პარიუგლი ბარიშნასავით ჩავაპუდრინებ მეთქინ. დავაპირე კართან მისვლა, მარა ამაოდ. გადავწყვიტე საცხაიდან შით მაინც შემეხედა. მივაგნე ერთი ჭიტინაი და შევიჭიტინე, მარა რას ხედავს ჩემი დასაფსები თვალეზი: მუუყრია ბატონო თავი

აქაურ უჩენიკებს და წიკუნტულას თამაშობენ! მოგვილდი ჭიტინას და ისე სირბილით ამოვედი სტანციაში რომე უკან არ მომიხედავს. ჩავევი პოეზში და იმდროზე მუუკაკუნე ჩემ ასინეთიას, რომ არ მეელოდა. შივედი სახლში, ხურჯინი კუთხეში მივაგდე და... ამას რას ხედავს ჩემი დასაფსები თვალები: ლოგინიდან გამოშბა ვინცა უზარ მახრი

ყაძახი, ფეთქა კარები და გაგარდა. მივზდიე მარა იმას რალას ვუზამდი, მივდექი ისევე ჩემს ასინეთიას და იმდენი ვუბრაგუნე რაც დააკლდა რუსის დარაბანდს.

მოდი ახლა და წადი განათლების მისაღებათ ფოთში! რაეცი, მე ამფერი სანახაობა ვნახე და იქნება თქვენ უკეთესიც ნახოთ. შამი.



დილა. ქვენა ქარი.



შუადღე. სიცხე. სპეკულიაცია. სეირნობა.



სალამო. ზენა ქარი.

ქ. ზესტაფონი.

(შორაპნის მაზრა).

შორაპნის მაზრის ერობის მე-IV სესია, რომელიც შესდგა 29 მარტს, საუცხოვოთ ჩატარდა. დიდი აღფრთოვანება გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში „მოაპოზიციო“ ფრთამ სოც.-ფედერალისტებისამ იმით, რომ მათ თავიანთი კერძო ინტერესები მალა დაყენეს, ვინემ საზოგადოებრივ მუნიციპალური. ფრთად საინტერესო იყო ზოგიერთ ხმოსნების ოპოზიცია, ვადება: ხმოსან-მემამულის ერთის მაგიერ ორი ნორმას გამოთხოვა; ხმოსან-მასწავლებლის მიერ შკოლის გამგისა და ინსტრუქტორის თანამდებობების მისთვის დატოვება; ხმოსან-სპეციალისტის მიერ სტატისტიკოსის ადგილის მოთხოვა და სხვა.

შორაპნის მაზრის მასწავლებელთა 4 აპრილის ყრილობამ, განიხილა რასაკითხი მაზრაში სწავლა-აღზრდის საქმის დაყენების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში ჩრდილოეთიდან მოახლოებული ბოლშევიკების საფრთხე, დაადგინა: მთელი ძალაუფლება ამიერიდან მიენიჭოს სასკოლო საბჭოებს. სამაზრო ერობა და უმაღლესი მთავრობა კი იზრუნებენ მასწავლებელთათვის მხოლოდ 20 რიცხვში ჯამაგირების დარიგებაზე.

შორაპნის დეპოს უფროსი ზელინსკი დიდ დახმარებას უწევს ადგილობრივ გვარდიის ჯარს გვარდიის ორგანიზაციის საქმეში. მობილიზაციის დროს იგი (ზელინსკი) იმ წამავე, სამი-ხუთი დღის შემდეგ გაანთავისუფლებს მუშა-გვარდიელებს და იპასუც ნაწილს. რაც შეეხება კატეგორიების მომატებას („პოვეიშენიეს“) აქ იგი თავისებურათ მსჯელობს: „ვინც გვარდიაში არის, მას კატეგორიის მომატება არ სჭირია, ვინაიდგან იგი ფრონტზე წავა და რომ მოკვდეს იქ ტყუილა გაივლის მიცემული კატეგორიაო“.


პროლეტარი.

ახალი სახადი ქუთაისში.

(ქრონიკიდან).

ქუთაისის მოედლო „ტანცების“ სახადი. აქ კაცი უცნაურს რას არა ნახავსა? მაგრამ სრულ შეგნებით ვერ შეხვდა სასირცხვოდ ქუთაისელები განსაცდელს ახალსა. ამასთან გაუწყებთ საოცარ ამბავსა: (ჩემს აღშფოთებას აქ არა აქვს საზღვარი), გარწმუნებთ... ქალაქში უბედურ ორს ვარდა ამ სენის ექიმი არავინ არ არის!.. და რა ჰქნას ამ ორმა, რომელ გზას დაადგეს, რომ ჩაკლან ძირშივე სახადი აეხელი?... ან როგორ გაუძლონ ესოდენ დიდ შრომას? (მე მათზე ბეჯითის არა ვარ მნახველი). სენი კი მიძინვარებს კიდიდან კიდემდე, არ სტოვებს არავის, სუყველას ედება. (უთუოდ აქ კუჭი მიზეზობს რაიმეს და ტანის სიმჩატით, ფფიქრობ, თუ ხელდება. ამ სენის უმთავრესს თვისებათ ითვლება: ფეხების ქავილი და ხოში ხტუნვისა; დანარჩენ წვრილმანების კი აღარ ჩამოვივლი, (სპეციალისტების მიზეზსა ჰმუნვისა). ყმაწვილთ და ქალწულებს არა აქვთ საშველი; შვადლემდე სწავლა ჰკლავთ, სალამოს სახადი, ღამე კი „ბალები“ და სალამოემი. (ინახავს კიდევ მათ ღმერთი და ჯვარ-ხატი). და თუმცა ამა სენს სჭირდება ცოტა რამ, (აქ ფესსაცმელები თუ იგულისხმება), ეს თქმათაც არა ღირს, ტყავია დღეს ბლომად, თან საქართველოში ქარხნებიც იხსნება: — არ ვიცი რამდენად უშველის ახალ სენს შედეგის, მიზეზის და მიზნის ძიება!.. ეს კია დღეს ცხადი და გამორკვეული, მოედლო ქუთაისის „ტანცების“ ციება...

სინემატო.



სურათი გამოცანა.



ფოსტა.

ყარდამ-ოღლის. განზრახვა ჩინებული გქონიათ, მაგრამ შედეგის ჩინებულობას ვერ ვიტყვი.

გრ. კაჭარავას. ძვირფასო თანამშრომელო! მართალია მარილი მეტის მეტათ გაძვირდა, მაგრამ თქვენი „გურული სცენა“ სრულიად უმარილოა.

ბარიტონის მაძიებელს. კეთილ ინებეთ, წაიკითხეთ პასუხი გრ. კაჭარავასადმი და გააორკეცეთ.

ჯუმათის საზ. ერთ წევრს. თქვენ იწერებით: „ჩვენი საზოგადოებიდან პატოსან წევრებს აძევებენ, ხოლო ქურდსა და აბრაგებს თავზე ქონს უსვამენო“ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. სად იშოვნის ჯუმათის საზოგადოება ამდენ ქონს?

ჭინჭრაქელას. იხილეთ პასუხი „ბარიტონის მაძიებელისადმი“ და გაამრავლეთ სამჯერ.

ნობის წყლის-პირელს. ძვირფასო მეგობარო, თქვენ ალბათ ნაკლებად იცნობთ სოლომონ ზურგიელიძის ნაწერებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ წინააღმდეგობას თქვენს ლექსებში არ ექნებოდა ადგილი. ერთ ალაგას სწერთ:

„კაცი ადვილათ მიხვდება არ უნდა შეირთოს ცოლი, თორემ მოელის მას ტანჯვა, და აუტანელი შფოთი.“

მეორე ალაგას კი სწერთ:

„ვიშრომოთ, ნაყოფს პოისხამს, ვზარდოთ და ვზარდოთ შვილები, რომ საქართველოს ეყოლოს ცოდნით შეკაზმული შვილები“

სოლომონმა კი ბრძანა:

„ცხადი და უმჭველია შვილი ცოლს უნდა ეყოლოს.“